Ч2(0ЗЗ)
Ш-447

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მანანა შელია

სიტყვანარმოების თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში და მათი სწავლება სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

13.00.02 - სწავლების მეთოდიკა

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო
ხელმძღვანელი – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნათელა დოღონაძე**

ოფიციალური
ოპონენტები – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მანანა ქუთელია**
(13.00.02)

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ლეილა ბერიშვილი**
(13.00.02)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 9.II.06
14 საათზე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა
და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში
სადისერტაციო საბჭოს P.10.01. №1 სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №45.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 6.I.06

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

- 2042 -

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი ლ. ბგასალია პროფ. ლ. ბგასალია

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალურობა. ენა ერის სულია. მისი სიმდიდრე და განვითარების დონე ლექსიკის სიმდიდრით იზომება. ყოველი ენის ლექსიკის ძირითად და უმთავრეს ნაწილს შეადგენს სრულმნიშვნელოვანი სიტყვები. მათ ახასიათებთ მნიშვნელობის ცვლა, განვითარება, გადასვლა ერთი ენიდან მეორეში.

XX საუკუნე ითვლებოდა ეროვნული დასავლეთევროპული ენების ეპოქად, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ამ ენების სწავლების მეთოდიკა. დროთა განმავლობაში სწავლება თანდათანობით იხვეწებოდა, სწავლების მეთოდიკის დახვეწა-განვითარება, სრულყოფა ჯერაც არ დამთავრებულა.

ინგლისური ენა ერთ-ერთი წამყვანი და პოპულარული ენაა მსოფლიოში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით აქცენტი კეთდება სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე, მათ შემოქმედებით აქტივობაზე, რომელიც მიმართულია მიღებული ცოდნის, სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ. უცხოური ენის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სპეციალური ენობრივი სასწავლებლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს. უცხოური ენების სწავლებას უდიდესი ყურადღება ეძცევა არასპეციალურ ფაკულტეტებზეც.

ენათმეცნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეთოდიკასთან. უცხოური ენის სწავლების მთელი ისტორიის მანძილზე ენათმეცნიერება არაერთხელ სვამდა მეთოდიკის წინაშე ახალ ამოცანებს, რომელიც ხელს უწყობდა და მუდამ უწყობს გადაუწყვეტელი პრობლემების გადაჭრას.

სიტყვაწარმოების თეორია შეადგენს მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განხრას ენის შესახებ, რომელიც შეისწავლის როგორც ახალი ლინგვისტური ერთეულების წარმოშობის საშუალებათა მთელ კომპლექსს მთლიანობაში, ასევე ცალკეულ სტრუქტურებსა და მოდელებს მათ თანამედროვე მდგომარეობაში და ისტორიულ განვითარებაში, მათ ტიპებსა და პროდუქტულობას. ამავე დროს დიდი